სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 ივნისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/51

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 25 0000533114, 16.05.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი წარიმართოს წინამდებარე დადგენილების **№1 დანართით** წარმოდგენილი ,,აკადემიური კალენდარის'' შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილების **N1 დანართში** ცვლილებების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების ცვლილების ან/და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს რექტორის ბრძანება).
3. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ''

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/51 დადგენილების
დანართი №1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის
2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი (სალექციო/საუდიტორიო/კურაცია/პრაქტიკული სამუშაოები) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1 შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2025 წლის 06 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 30 იანვარს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 22 სექტემბერს და დასრულდეს 10 ოქტომბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2025 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2026 წლის 2 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2026 წლის 23 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

ე) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი განხორციელდეს 2026 წლის 02 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით.

1.2 გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2026 წლის 16 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 27 ივნისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 09 მარტს და დასრულდეს 21 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2026 წლის 29 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2026 წლის 20 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით.